საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 246 04 ნოემბერი 2019 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს VII თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 85-ე მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 4 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე) გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოება.
2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნეს 2020 წლის 4 თებერვლამდე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – დავით ხუხიას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსს – ვეფხვია რუსიას.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი